



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტი

შესავალი:

წარმოდგენილი დოკუმენტი მომზადებულია შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (შემდგომში: უნივერსიტეტის) მისიის, სტრატეგიული განვითარების და კვლევის სტრატეგიის დოკუმენტის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის მისია:

მოწინავე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-პრაქტიკულ მოდელებზე ბაზირებული განათლების მიცემა, კვლევის წარმოება და ინოვაციური საქმიანობა. თანაბარი შესაძლებლობების მიცემის საფუძველზე - ცოდნის, უნარებისა და საყოველთაო ღირებულებების განმტკიცებითა და სოციალური პასუხისმგებლობის აღიარებით, საზოგადოების განვითარებისა და ქვეყნის გლობალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ცოდნის შექმნისა, დაგროვებისა და გაზიარების გზით.

კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ძირითადი ინსტიტუტები:

უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ძირითადი სტრუქტურებია: აკადემიური საბჭო, სამეცნიერო საბჭო, სკოლა, კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კვლევითი ინსტიტუტები, კვლევითი ჯგუფი/გუნდი

კვლევითი საქმიანობის მიზანი:

კვლევითი საქმიანობის მიზანია უნივერსიტეტმა მიაღწიოს კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის იმ კონდიციას, როცა უნივერსიტეტის მიერ გენერირებული ახალი ცოდნა თავის წვლილს შეიტანს საზოგადოების გამოწვევების გადაჭრაში, მის განვითარებასა და ქვეყნის გლობალურ ინტეგრაციაში.

კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრის მიზანი:

უნივერსიტეტის მისიის განაცხადის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მომავალი საქმიანობის ფარგლებში კონცენტრირება მოახდინოს უნივერსიტეტისთვის ყველაზე საჭირო კვლევით საკითხებზე.

კვლევითი პრიორიტეტები:

უნივერსიტეტი მომავალი კვლევითი საქმიანობის ფარგლებში გეგმავს კვლევითი პოტენციალის და რესურსების მიმართვას საკუთარი პრიორიტეტების შესაბამისად. კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრისას უნივერსიტეტმა იხელმძღვანელა უნივერსიტეტის მისიითა და კვლევითი სტრატეგიით, ამავე დროულად გაითვალისწინა რომ ახორციელებს სამ სადოქტორო პროგრამას (ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი) შესაბამისად პრიორიტეტების გამოყოფა ამ მიმართულებებით განისაზღვრა:

ა) დემოკრატიზაცია, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი, კეთილდღეობის სახელმწიფო და საზოგადოება

დასავლური ინტეგრაციის პროცესში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ამოცანიდან გამომდინარე, დემოკრატიის და კონსტიტუციონალიზმის როგორც მრავალწახნაგოვანი მოვლენის შედარებით კვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხების კვლევას აკადემიურ სივრცეში მომეტებული დატვირთვა გააჩნია და ჩვენი მისიიდან გამომდინარე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი თავის პრიორიტეტად მიიჩნევს აწარმოოს კვლევები დემოკრატიზაციის, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის და საზოგადოების კეთილდღეობის მიმართულებით.

ბ) რაოდენობრივი მაჩვენებლების კვლევა ეფექტური მმართველობისთვის

გაციფრულების გლობალური ამოცანის ვითარებაში, მნიშვნელოვანია რაოდენობრივი მაჩვენებლების აკადემიური კვლევა, რაც ხელს შეუწყობს სამთავრობო სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდას, ამავედროულად საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას ეფექტური მმართველობის მხარდასაჭერად. ეს ამოცანა ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და გაუ ცდილობს ხელი შეუწყოს საზოგადოების განვითარებას და გლობალურ ინტეგრაციას.

კვლევითი პრიორიტეტების იმპლემენტაცია:

- ა) კვლევითი გრანტების გამოცხადება საუნივერსიტო დონეზე;
- ბ) საერთაშორისო პარტნიორების მოძიება;
- გ) ერთობლივი კვლევების წახალისება უცხოურ უნივერსიტეტებთან;
- დ) აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების მობილობა უცხოურ უნივერსიტეტებში;